სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების კომისიის სხდომის
ოქმი N1

სოფელი ბოსლები

16 იანვარი 2026 წელი

მიმდინარე წლის 16 იანვარს სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლაში ჩატარდა სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის კომისიის სხდომა.

სხდომის დაწყების დრო: 15:00
სხდომას ესწრებოდნენ:

1.1. მაია ბეჟანიშვილი- სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
1.2. რუსუდან ტატუაშვილი - მდივანი;
1.3. ანა ფეტვიაშვილი (მშობელთა წარმომადგენელი);
1.4. ლამარა ორთოიძე (მასწავლებელთა წარმომადგენელი);
1.5. ბარბარე ყულიაშვილი (მოსწავლეთა წარმომადგენელი).

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
მომხრე : 5
მოწინააღმდეგე :0
თავი შეიკავა : 0

დაადგინეს : დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი: სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 ივნისის N2-69 ბრძანება და ისაუბრა კომისიის სამოქმედო გეგმაზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ კომისიამ გადახედა და შეამოწმა 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სკოლის განვითარების სტრატეგიული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე კომისიას გადასცეს ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას

1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება.
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია.

3. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
5. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშეწყობის სხვა საშუალებებით.
6. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა.
7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა
8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში.
9. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებული ბერკეტების მოძიება და გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლამ წარმოადგინა ყველა შესაბამისი დოკუმენტი რაც ადასტურებს რომ ნამდვილად გეგმის მიხედვით გატარდა ყველა სახის ღონისძიება სკოლაში. სკოლამ წარმატებით შეასრულეს პირველ სემესტრში გაწერილი აქტივობები, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლამ მონიტორინგი გაიარა 2025 წლის მიწურულს და დღითიდღე უფრო მეტად ვითარდება.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომა დასრულდა: 14:00

საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე: /მაია ბეჟანიშვილი/

საინვენტარიზაციო კომისიის წევრები: /დალი ფოლადიშვილი/
/ანა ფეტვიაშვილი/
/ლამარა ორთოიძე/
/ ბარბარე ყულიაშვილი/